პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 235 (11239) | პარასკევი, 10 ოქტომბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტსა და სამხარეო აღმასკომს (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იუგოსლავიის ელჩი ვ. მიჩუნოვიჩი (1-ლი გვერდი).

ვილჰელმ პიკის, ოტო გროტეოლის, ვალტერ ულბრიხტის დეპეშა ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვს, კ. ე. ვოროშილოვს (1-ლი გვერდი).

კ. ე. ვოროშილოვი ტაჯიკეთში (1-ლი გვერდი).

პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად (1-ლი გვერდი).

პარტიის XXI ყრილობის ალსანიშნავად. — მიიღე, დედასამშობლო, ჩვენი საჩუქრები. — მ. ბლაჟა. — აფხაზეთის მშრომელთა სიტყვა და საქმე; **კ. შავიშვილი.** — აჭარა ემზადება ყრილობისათვის; **გ. სანაკოევი.** — ვალდებულებებს პირნათლად შევასრულებთ; **ს. ჩხარტიშვილი.** — დედაქალაქის მშრომელთა წარმატება; შრომის, სიხარულის დღეები (მე-2 გვერდი).

თბილისის 1500 ელექტროსადენი ალსანიშნავად. — ერევანი — თბილისი — ო. ბალდასარიანი. — შეგრძნების სიხარულის ქალაქი; ტ. სარგსიანი. — ეშმაკლურარი, საყვარელი...; გ. სარიანი. — სიმღერა თბილისზე; გისურვებთ წარმატებებს, ძმეებო!; „სადაც დაირწა ჩემი აკვანი“ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 **გვერდი**).

გავახაროთ დედასამშობლო ახალი წარმატებებით

საბჭოთა ხალხის გმირულ ისტორიაში დაუვიწყარ ელენებად ითვლებიან ჩვენი ელოვანი კომუნისტური პარ-ის ყრილობები. თვითეული ოგანი თავის მხრივ განსაზღვ-ს ახალ ეტაპს კომუნიზმისაკენ ნი ქვეყნის ძლევამოსილ წინ-ლაში, იწვევს მშრომელთა მი-ონიანი მასების შემოქმედე-თი ინიციატივის ახალ მოზღვ-ბას.

საბჭოთა ადამიანები განსაკუთ-ბული აღფრთოვანებით შეხვ-ენ ცნობას პარტიის რიგგარე-XXI ყრილობის მოწვევის შე-ებ. ეს ყრილობა იქნება უდი-სი ისტორიული მოვლენა, რო-ლიც დასახავს კომუნისტური ენებლობის ახალ დიად ამო-ნებს.

მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომე-ები, მათ შორის საბჭოთა სა-რთველოს შრომისმოყვარე ადამიანები შემოქმედებითად იმ-დებიან პარტიის მომავალი ირილობის ღირსეულად შეხვედ-ისათვის. სულ უფრო მძლავ-ად ჩაღდება ამ ღირსშესანიშნა-ი მოვლენის ალსანიშნავად აზ-ართებული საყოველთაო-სახალ-ო სოціალისტური შეჯიბრება. ესპუბლიკის მრეწველობისა და ოფლის მეურნეობის მშრომე-ები, ინტელიგენტური შრომის ადამიანები ახალ გადიდებულ ალდებულებებს კისრულობენ და ავდადებით იბრძვიან, რათა ირნათლად შეასრულონ ისინი ა გაახარონ დედასამშობლო ახალხო მეურნეობის ყველა არგში თვალსაჩინო მიღწევების ოპოვებით.

ამჟამად ქალაქისა და სოფლის არტიულ ორგანიზაციებში მიმ-ინარეობს საანგარიშო-საარ-ევნო კრებები, რომლებზეც გა-ნილავენ პარტიული ორგანი-აციების ბიუროების ანგარიშს აწეული მუშაობის შესახებ. მასთან ერთად კომუნისტები ესჯელობენ პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობისათვის მზადების ძტუალურ საკითხებზე. სახავენ ახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების ებს, პარტიული ორგანიზაციებს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

კომუნისტები ქმაყოფილებით ალნიშნავენ, რომ პარტიის XX ყრილობის შემდეგ განვლილ ორ-ახევარ წელიწადში ქალაქად და სოფლად მოხდა შესანიშნავი ცვლილებანი. პარტიის მიერ შე-მუშავებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მოპოვებულია უდიდესი წარმატებანი მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საქმეში. ფართო გამოხმაურება ჰპოვა საკოლმეურნეო სოფლის მოწინავეთა მოწოდებამ — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამ ლოზუნგით გაჩაღებული მოძრაობა ჭეშმარიტად გადაიქცა საყოველთაო-სახალხო ლაშქრობად, რომელმაც მოიცვა საკოლმეურნეო სოფლის ადამიანები.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოწინავე საწარმოთა კოლექტივები, ქუთაისის ავტომობილშენებლები და რუსთავის მეფოლადეები, ჭიათურელი მაღაროელები და ბათუმელი მენავთობეები, ტყიბულელი, ტყვარჩელელი და ახალციხელი მეშახტიები, რომლებიც დგანან პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, წარმატებით იბრძვიან გადიდებულ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის და ყოველდღიურად აღწევენ ახალ საწარმოო გამარჯვებებს. საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და სხვა პროფესიის ადამიანები არ იშურებენ ძალღონეს, რათა მშობლიური კომუნისტური პარტიის მომავალ ყრილობას შეხვდნენ მიმდინარე წლის დაგალებათა ვადაზე ადრე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით.

სერიოზული წარმატებები მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის ბევრი რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. აფხაზეთისა და აჭარის, მახარაძისა და ზუგდიდის, აგრეთვე მთელი რიგი სხვა რაიონების შრომისმოყვარე მეჩაიეებმა სახელოვნად ვადაზე დიდი ხნით ადრე შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების არა მარტო წლიური გეგმები, არამედ გეგმის გადამეტებით ნაკისრი ვალდებულებებიც. მათ როდი ჩამორჩნენ გურჯაანელი და ყვარელი მევენახეები, გორელი და ქარელელი მეხილეები, ბათუმელი და საგარეჯოელი მეცხოველეები. მათაც ძვირფასი საჩუქრები უძღვნეს დედასამშობლოს, ქვეყანას მისცეს მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, გაახარეს იგი ახალ წარმატებათა მოპოვებით.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტები სავსებით სამართლიანად ამახვილებენ ყურადღებას ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ ამოცანებსა და ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებზე, რომლებიც ერთგვარად ათერხებენ ჩვენს სწრაფ წინსვლას ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის ბრძოლის გზაზე. ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მოვალეობაა ყური უგდონ კომუნისტების ხმას, მხარი დაუჭირონ მათს სამართლიან კრიტიკულ შენიშვნებს და საქმიან წინადადებებს, დასახონ ქმედითი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესად გამოსწორებას.

თვითეული პარტიული ორგანიზაციის, ყოველი კომუნისტის ღირსების საქმე და უპირველესი მოვალეობაა იყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასების პატრიოტული მოძრაობის სათავეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტსა და სამხარეო აღმასკომს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ სტავროპოლის მხარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად გამოვიდნენ, პირნათლად შეასრულეს თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის 103 მილიონი ფუთი პურის მიყიდვის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ სტავროპოლის მხარის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ მუშაკებსა და ყველა მშრომელს თვალსაჩინო წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია მარცვლეულის წარმოების გადიდებაში, და სტავროპოლის მხარის დაჯილდოებას ლენინის ორდენით და გამოთქვამენ რწმენას, რომ სტავროპოლის მხარის სოფლის მეურნეობის მშრომელები თავიანთი თავდადებული შრომით ახალ წვლილს შეიტანენ მარცვლეულის, რძის, ხორცის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში, რათა შექმნან ჩვენს ქვეყანაში სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა მრეწველობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს

მუშათა და გლეხთა პირველი გერმანული სახელმწიფოს მშრომელთა სახელით გითვლით თქვენ და მთელ საბჭოთა ხალხს ჩვენს გულითად მადლობას მოლოცვისათვის, რომელიც გამოგვიგზავნეთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის IX წლისთავის გამო.

ჩვენი დღესასწაულის დღეს გამსჭვალული ვართ განსაკუთრებული გულითადი, მეგობრული გრძნობებით დიდი საბჭოთა ხალხისადმი. მხოლოდ ბარბაროსულ ჰიტლერულ ფაშიზმზე გმირი საბჭოთა არმიის გამარჯვებამ, რომელსაც საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, გაუკაფა გზა მშვიდობიან დემოკრატიულ განვითარებას ჩვენს სამშობლოში. შემდგომ წლებში მთელი საბჭოთა ხალხი გვიწევდა განუწყვეტელ თავდადებულ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და მატერიალურ დახმარებას და ხელს გვიწყობდა, რომ დიდი გამარჯვებებით შევხვედროდით ჩვენი რესპუბლიკის IX წლისთავს. ამისათვის ვუთვლით მას ჩვენს გულწრფელ, დიდ მადლობას.

ჩვენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის IX წლისთავის დღეს ჩვენ, იმ ღონისძიებათა მეოხებით, რომლებიც ჩვენმა მშრომელებმა განახორციელეს განვლილ წლებში, სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ძირითადად ავაშენეთ სოციალიზმის საფუძვლები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ახლა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები აღმავლობით შრომობენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მე-5 ყრილობის მიერ დასახული მთავარი ეკონომიური ამოცანის შესრულებაზე — უახლოეს სამ წელიწადში გავუსწროთ დასავლეთ გერმანიას ერთ სულ მოსახლეზე ყველა უმნიშვნელოვანესი სახეობის სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის მოხმარების მხრივ. მიზანდასახულად ვაშენებთ რა სოციალიზმს, ვამზადებთ და ვახორციელებთ რა მე-3 ხუთწლიანი გეგმის დიდ ამოცანებს, ჩვენ საბოლოოდ დავამტკიცებთ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობას დასავლეთ გერმანიაში იმპერიალისტური ძალების ბატონობის წინაშე.

თქვენი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის მეოხებით და თქვენი ღონისძიებების მეოხებით მომმე, ერთმანეთს შორის მოთანამშრომლე სოციალისტური სახელმწიფოების ბანაკის ერთიანობის განსამტკიცებლად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ავტორიტეტი იზრდება აგრეთვე სოციალისტური ბანაკის ფარგლებს გარეთაც. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უკანასკნელ ინიციატივას, რომელმაც წინადადება წამოაყენა, რომ დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, ფართოდ გამოეხმაურა თვით გერმანიაში და მის ფარგლებს გარეთ ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი, რომელიც ესწრაფვის ადამიანთა შეთანხმების მიღწევას. ეს წინადადებანი ამავე დროს ემსახურებიან დიდ ეროვნულ ამოცანას — გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოს გაერთიანებას. საბჭოთა მთავრობის მიერ ჩვენი წინადადებების სრული მხარდაჭერა დიდი დახმარებაა ჩვენს ბრძოლაში გერმანიის ეროვნული აღორძინებისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ და ურყევად დგას მშვიდობისა და სოციალიზმის დიდი ბანაკის რიგებში. ფასდაუდებელია ერთიანობის ის ურღვევი კავშირი, რომელიც ჩვენს ხალხს აკავშირებს საბჭოთა ადამიანებთან და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ხალხებთან. ეს ერთობა და დარაზმულობა სოციალისტური ბანაკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საუკეთესო გარანტიაა, სოციალიზმის მშენებლობის გარანტიაა.

გაუმარჯოს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას, რომელნიც სათავეში უდგანან ჩვენს ერთობლივ ბრძოლას!

გაუმარჯოს სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა ურღვევ ერთიანობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი

ვილჰელმ პიკი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

ოტო გროტეოლი

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ვალტერ ულბრიხტი.

პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად

ადამიანები და მათი საქმეები

რეპორტაჟი

119 მძიმე წონის მაჯარებელი

ჩვენს ქვეყანაში, სადაც შრომა ღირსებისა და დიდების საქმეა, ახლა იშვიათად არის ადამიანი, რომ პატიოსნად არ შრომობდეს, თავის ცოდნასა და უნარს დაუშურებლად არ ახმარდეს საქმეს, რომელიც მას მიანდეს. ჩვეულებრივ, ყოველდღიურ შრომაში წინაურდებიან ადამიანები, აღწევენ გამარჯვებებს, იბადებიან შრომის გმირები.

მაგრამ ხალხის ცხოვრებაში, მშრომელების ცხოვრებაში არის დღეები, როცა არ შეგიძლია ჩვეულებრივად იშრომო, როცა გინდა გააკეთო რაღაც უფრო დიდი, უფრო მნიშვნელოვანი. ეს მისწრაფება, ეს შრომითი ენთუზიაზმი მეტად მძაფრია და ძლიერი, იგი ეუფლება არა ერთეულებს, არამედ მასებს.

ასეთი დღეებია ახლა ჩვენს ქვეყანაში — მშობლიური კომუნისტური პარტიის ყრილობისათვის მზადების დღეები.

ჩემი ელმავლით წელს ცხრა თვეში წავიყვანე 119 მძიმე წონის მაჯარებელი და ნორმის გადამეტებით გადავზიდე 47 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. 4.300 ტონა ტვირთი გადავზიდე მარტო ოქტომბრის უკანასკნელ შვიდ დღეში. ვზრდი ელმავლის შეკეთებათაშორის გარბენს, ვზოგავ ელექტროენერგიას და ხაცხებ-საზეთ მასალებს. მაგრამ შენს ირგვლივ მყოფთაგან თვითეულს სურს იშრომოს უკეთესად. ასეთ დროს ასეცადა სირცხვილია, რომ სხვებს ჩამორჩე, რომ ფეხი ვერ აუწყო მასებს საერთო-სახალხო მოძრაობაში ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის. ასეთ დროს მით უფრო არა გაქვს უფლება არ ჩაუფიქრდე: ყველაფერს აკეთებ თუ არა შრომის შენს უბანზე წარმატებისათვის.

მორიგი რეისის წინ ელმავალზე ავდივარ რწმენით, რომ დღეს უკეთ ვიმუშავებ, ვიდრე გუშინ, რომ მოვიპოვებ ახალ გამარჯვებას.

ა. ხაზარაძე,

თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანე.

ყვარლის რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა

ჩაებნენ რა პარტიის XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყვარლის რაიონის მშრომელებმა პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.200 ტონისა, სახელმწიფოს მიჰყიდეს 7.557 ტონა ყურძენი, ე. ი. 3.138 ტონით მეტი გასულ წელთან შედარებით.

ყვარლის რაიონის მშრომელებმა იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ კიდევ 1.000 ტონა ყურძენი.

ცხაკაიას რაიონმა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულა

დგანან რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, ცხაკაიას რაიონის მშრომელებმა 8 ოქტომბრისათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 2.651 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ გასულ წელთან შედარებით 630 ტონით მეტი.

გრძელდება ფოთლის კრეფა წლიური გეგმის გადამეტებით ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში.

გარეუბნის რაიონმა შეასრულა მატყლის დამზადების გეგმა

გარეუბნის რაიონმა 1 ოქტომბრისათვის 101 პროცენტით შეასრულა მატყლის დამზადების გეგმა.

სახელმწიფოს ჩაბარდა 1.423,4 ცენტნერი მატყლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.421 ცენტნერისა.

მატყლის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სტავროპოლის მხარის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თვალსაჩინო წარმატებებისათვის, რომლებიც სტავროპოლის მხარის მშრომელებმა მოიპოვეს მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში, იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულეს სოციალისტური ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის 103 მილიონი ფუთი პურის მიყიდვის შესახებ, **სტავროპოლის მხარე** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

კ. ვოროშილოვი,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1958 წლის 8 ოქტომბერი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იუგოსლავიის ელჩი ვ. მიჩუნოვიჩი

სოჩი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ველკო მიჩუნოვიჩი მისი თხოვნით საბჭოთა კავშირიდან მომავალი გამგზავრების გამო და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან.

კ. ე. ვოროშილოვი ტაჯიკეთში

სტალინაბადი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილით ტაჯიკეთის დედაქალაქმა გულითადი გაცილება მოუწყო ძვირფას სტუმარს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **კ. ე. ვოროშილოვს.** ათასობით ქალაქელი მზურვალედ მიესალმებოდა მას, როცა სტალინაბადის ქუჩებში მიდიოდა ღია მანქანა აეროდრომისაკენ.

აეროპორტში შეიკრიბა დედაქალაქის საწარმოთა, დაწესებულებათა კოლექტივებისა და საზოგადოებრიობის ბევრი წარმომადგენელი. აქ მოვიდნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სსრ კავშირისა და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, რესპუბლიკის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

ბავშვებმა კ. ე. ვოროშილოვს მიართვეს ყვავილების თაიგულები.

გაფრენის წინ კ. ე. ვოროშილოვმა შეკრებილთ მიმართა მოკლე სიტყვით, რომელშიც მადლობა გამოთქვა მზურვალე მიღებისათვის და უსურვა ტაჯიკეთის მშრომელებს ახალი წარმატებანი სამეურნეო ცხოვრებასა და კულტურულ მშენებლობაში.

ლენინაბადი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, რომელიც ტაჯიკეთში იმყოფება, დღეს შუადღისას ჩამოვიდა ლენინაბადში.

აეროდრომზე საზეიმო შეხვედრის შემდეგ კ. ე. ვოროშილოვი ესტუმრა ლენინაბადის რაიონის მილიონერ კოლმეურნეობა „მოსკოვს“. ამ კოლმეურნეობას, რომელიც უდიდესია ტაჯიკეთში, ხელმძღვანელობს ორგზის სოციალისტური შრომის გმირი საითხოჯა ურუნხოჯაევი. კოლმეურნეები მზურვალედ მიესალმნენ კ. ე. ვოროშილოვს.

კ. ე. ვოროშილოვი დაწვრილებით გაეცნო კოლმეურნეობის მეურნეობას.

კოლმეურნეობა „მოსკოვს“ აქვს 60 ათასამდე ჰექტარი მიწა. მის ფერმებშია 70 ათასზე მეტი სული პირუტყვი. ყამირ მიწებზე, რომლებიც კოლმეურნეობამ ათთვისა ამ უკანასკნელ წლებში, ორის ათას ხუთასამდე ჰექტარი ბამბის პლანტაციები. არტელს აქვს დიდად განვითარებული მებაღეობა, მებრეშუმეობა, მეფრინველეობა. აქ წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის ყველა დარგი, რომელიც კი არსებობს ტაჯიკეთში.

დიდად განვითარებული საზოგადოებრივი მეურნეობა იძლევა შემოსავალს, რომელიც 38 მილიონ მანეთს აღემატება. საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდა უზრუნველყოფს კოლმეურნეთა კულტურულ და შეძლებულ ცხოვრებას.

ლენინაბადის აბრეშუმკომბინატში გაიმართა მეაბრეშუმეთა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა კ. ე. ვოროშილოვის მისვლას ამ აბრეშუმგადამამუშავებელ საწარმოში.

მიტინგზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს კომბინატის კადრის მუშაკებმა: ამხანაგებმა უსტობაბაევმა (ბარკის სახვევი ფაბრიკა), მგრეხელმა კუვშინოვამ, მქსოველმა შოდიბაევამ.

მეაბრეშუმეებმა გულითადი შეხვედრა გაუმართეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს. დიდი ყურადღებით მოისმინეს მათ მისი სიტყვა მიტინგზე.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. დოდხუდოევმა, რომელმაც ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და მთელი ტაჯიკი ხალხის სახელით მხურვალე მადლობა უძღვნა კ. ე. ვოროშილოვს ტაჯიკეთის რესპუბლიკაში ჩასვლისათვის.

საღამოს კ. ე. ვოროშილოვი დაესწრო მხატვრული თვითმოქმედების კონცერტს კოლმეურნეობა „მოსკოვის“ კულტურის სასახლეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად

მიიღე, დედასამშობლო, ჩვენი საჩუქრები

— ახალი შრომითი საჩუქრებით შეეხვდეთ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას! — ამ ლოზუნგით არის გაჩაღებული თავდადებული ბრძოლა საბჭოთა საქართველოს საწარმოებში და ახალმშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. როგორც დიადი საბჭოთა სამშობლოს ყოველ კუთხეში, ისე ჩვენს რესპუბლიკაშიც სულ უფრო მეტ გაქანებას იღებს ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება.

ამ გვერდში გამოქვეყნებული მასალები მოგვითხრობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მძლავრ პატრიოტულ აღმავლობაზე, იმ წარმატებებზე, რომლებსაც ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში აღწევენ.

★ ★

აფხაზეთის მშრომელთა სიტყვა და საქმე

მ. ბლაჟბა,
საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ცნობამ პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ — ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ამ ღირსშესანიშნავმა მოვლენამ — მშრომელთა მასების დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელები აქტიურად ჩაებნენ ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩვენ ვალდებულება ვიკისრეთ ვადაზე ადრე შეგვესრულებინა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა და სეზონში წლიური გეგმის გადამეტებით მოგვეკრიფა 3.000 ტონა ფოთოლი.

აფხაზეთის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ სასახელოდ გაენაღდებინათ ნაკისრი ვალდებულება. ნაყოფიერ შრომას სათანადო შედეგიც მოჰყვა. ჯერ კიდევ 5 სექტემბრისათვის შესრულდა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. აფხაზეთში მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 21.662 ტონა ჩაის ფოთოლი, 6.000 ტონით მეტი, ვიდრე 1957 წელს.

ამჟამად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ჩაის ნედლეულის კრეფა ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში. 10 ოქტომბრისათვის წლიური გეგმის გადამეტებით უკვე მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 1.663 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ გუდაუთის რაიონის მშრომელები, რომლებმაც ჯერ კიდევ 29 სექტემბრისათვის 112,5 პროცენტით შეასრულეს ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. რაიონი ამ წარმატებისათვის ფლობს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ აგრეთვე ოჩამჩირის, გულრიფშის, გალის რაიონების მშრომელებს.

წარმატებები გვაქვს მეთამბაქოობაშიც. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ვადაზე ადრე — 5 ოქტომბრისათვის შეკვასრულეთ თამბაქოს მოსავლის აღების წლიური გეგმა. შეტეხილი და ანემსილია 94 მილიონი ზონარმეტრი თამბაქო, წლიური გეგმა შესრულებულია 102,9 პროცენტით.

აფხაზეთის მეთამბაქოეები ამ მიღწევებით როდი კმაყოფილდებიან. ჩაებნენ რა ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მათ იკისრეს სახელმწიფოს ჩააბარონ 9.500 ტონა თამბაქოს ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 7.800 ტონისა.

წელს თამბაქოს მოსავლიანობის გადიდებისათვის სახელოვნად იმუშავა გულრიფშის რაიონმა. აქ 5 ოქტომბრისათვის აღებული და ანემსილი იყო 22.498.000 ზონარმეტრი თამბაქო ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 21.400.000-ისა. მიღწევები აქვთ თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანაში გაგრის რაიონის მშრომელებსაც.

აფხაზეთის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე აბრეშუმის პარკის. ხილის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა რესპუბლიკამ ვადაზე ადრე შეასრულა. გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 335 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

პირნათლად ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს აგრეთვე მრეწველობის მუშაკები. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა მუშაკებმა წარმატებით შეასრულეს 9 თვის საწარმოო გეგმა. გასულ წელთან შედარებით გამოშვებულია ბევრად მეტი აგური, კირი და ფართო მოხმარების სხვა საქონელი.

ამჟამად ყველა ზომა მიღებულია იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეეხვდეთ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფის სეზონს. წელს სახელმწიფოს ჩაბარდება 1.600 ტონა მანდარინი, 500 ტონა ფორთოხალი, 2.600.000 ცალი ლიმონის ნაყოფი.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე საეურნეო წელი და ამით მნიშვნელოვანი მიღწევებით შეხვდნენ პარტიის XXI ყრილობას.

დედაქალაქის წარმატება

ს. ჩხარტიშვილი,
საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანი.

თბილისის მშრომელები მნიშვნელოვან წარმატებას აღწევენ პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ყრილობისადმი მიძღვნილ შრომითს ვახტზე პირველი დადგა ქიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივი. ქიროველთა მიმართვას საქართველოს სამრეწველო საწარმოებისა, ტრანსპორტისა და მშენებლობათა ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მოსამსახურისადმი პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ მხარი დაუჭირა ქალაქის ყველა საწარმოს კოლექტივმა. ამჟამად დედაქალაქში არ არის საწარმო, რომელიც ჩაბმული არ იყოს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მაღალ შრომითს აქტივობაზე მეტყველებს ის, რომ წელს ქალაქის მრეწველობამ გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცა მრავალი ლითონსაჭრელი ჩარხი, 2.207 ტონა ლითონის კონსტრუქცია, 1 მილიონ 248 ათასი ცალი აგური, 136 ათასი მეტრი შალეულისა და 814 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, 194 ათასი წყვილი ფეხსაცმელი და ა. შ.

ქალაქის საწარმოების ასობით და ათასობით მოწინავე მუშა, წარმოების ნოვატორი არა მარტო წარმატებით ასრულებს წლის დავალებებს, არამედ უკვე 1959, 1960 და შემდგომი წლების ანგარიშში მუშაობს. დედაქალაქის მოწინავე მუშების და წარმოების ნოვატორების კ. ილურიძის, პ. ბედენაშვილის, ს. კაკაბაძის, პ. ზუბრიცკის, ნ. როდომანჩენკოს, მ. აკოფოვის, ა. მარგველაშვილის, მ. ფსუტურის, ც. აბაშიძის და სხვათა სახელებს ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც იცნობენ.

ვალდებულებათა გაღიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შემდგომი განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის გარკვეული მუშაობა გასწიეს ელმავალსამშენებლო ქარხანაში, სადაც დამზადებულია რვაასზე მეტი დასახელების ტექნიკური აღჭურვილობა, მიმდინარეობს აწყობა მაღალი წარმადობის სპეციალური და ნახევრად ავტომატიზებული დაზგებისა, დანერგილია საჰაერო რეზერვუარების ავტომატური ელექტროშედუღება, ელმავლის წამყვანი კბილანების წრთობა ხდება ჟანგბადოვანი აცეტილენით ავტომატურად. ქარხნის ნოვატორთა ჯგუფის ინიციატივით შექმნილია ჭანჭიკის სომაგრის მაკონტროლებელი ავტომატი, რომლის საშუალებითაც ავტომატურად ხორციელდება გამოუსადეგარი ჭანჭიკების წუხდება. ჩაის გადამწონ ფაბრიკაში 12 ავტომატის ამუშავების შედეგად განთავისუფლდა 333 მუშა და შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 2,4-ჯერ.

ამასთან ერთად ქალაქის სამრეწველო საწარმოების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. ზოგიერთი საწარმო არ ასრულებს ასორტიმენტის გეგმას, უშვებს დაბალი ხარისხის პროდუქციას, არ იბრძვის შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა საჭიროა კიდევ უფრო გააძლიერონ პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა, ღრმად ჩასწვდნენ წარმოების ცალკეულ საკითხებს, ქმედითი კონტროლი და დახმარება გაუწიონ წარმოებას სამეურნეო საქმიანობაში, უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება და დარაზმონ მშრომელი მასები ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ დედაქალაქის მშრომელები ახალ გამარჯვებებს მოიპოვებენ პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ღირსეულ შრომითს საჩუქრებს მიუძღვნიან მშობლიური პარტიის ყრილობას.

★ ★

აჭარა ემზადება ყრილობისათვის

ჯ. შავიშვილი,
საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მოწვევის შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით აჭარის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში გამართულ ხალხმრავალ მიტინგებზე და კრებებზე მშრომელებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებები და წარმატებით იბრძვიან მათი განხორციელებისათვის.

ყრილობისადმი მიძღვნილი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების სათავეში დგანან პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, რომლებიც პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ მასებს და წარმართავენ მათს მზარდ შრომითს აქტივობას.

აჭარის მრეწველობის მუშაკები პირნათლად ანაღდებენ აღებულ ვალდებულებებს. მათ გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე წლის 9 თვის სახელმწიფო გეგმები და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს მილიონობით მანეთის პროდუქცია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის წარმოება გაიზარდა 10 პროცენტით.

წარმატებით მუშაობენ და დიდძალ ზეგეგმითს პროდუქციას აძლევენ დედა-სამშობლოს ბათუმელი მენავთობეები, მანქანათმშენებლები, ავტომშენებლები, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები.

სერიოზული წარმატება მოიპოვეს აჭარის ასსრ აღგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა. მათ 104,3 პროცენტით შეასრულეს პროდუქციის გამოშვების 9 თვის დავალება და გეგმის გადამეტებით დიდძალი სამშენებლო მასალები და ფართო მოხმარების საქონელი გამოუშვეს.

წარმატებით ართმევენ თავს თავიანთ საპატიო მოვალეობას ბათუმელი მშენებლები, რომლებიც 1958 წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით საქართველოში პირველ ადგილზე გამოვიდნენ. მათ გარდამავალი დროშა მოიპოვეს.

მნიშვნელოვანი წარმატებებით ხვდებიან პარტიის XXI ყრილობას აჭარის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მუშაკები, რომლებმაც უკანასკნელი ორი წლის მაჩვენებლებით დაიმსახურეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ფართო ჩვენებით მონაწილის საპატიო უფლება.

თავდადებით იმუშავეს წელს აჭარის მეჩაიეებმა, რომლებმაც 25 სექტემბრისათვის შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა. ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილია 580 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული. მიღებულია ჩაის სარეკორდო მოსავალი — მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილი და მოკრეფილია 4.270 კილოგრამი ფოთოლი.

კარგად იმუშავეს აჭარის მეციტრუსეებმაც, რის შედეგად ისინი ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვ მოსავალს აიღებენ. წელს სახელმწიფოს ჩაბარდება 350-400 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, გაცილებით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

სახელოვანი საქმეებით ეგებება ბიან მშობლიური პარტიის XXI ყრილობას აჭარის მეთამბაქოეებიც, რომლებმაც მოსავლის აღების წლიური გეგმა ჯერ კიდევ 29 სექტემბრისათვის გაანაღდეს და მას შემდეგ ნედლეულს იღებენ ვალდებულების ანგარიშში, რა გეგმის ზევით 230 ტონა ხარისხოვანი ქართული არომატული თამბაქოს ჩაბარებას ითვალისწინებს.

ნაკისრ ვალდებულებათა გაღიდებისათვის ენერგიულად შრომობენ აჭარის მეცხოველეები. წარმატებით სრულდება წვრილადობის დავალებები. დიდი მოშაობაა გაშლილი მეცხოველეობის საკვების, მათ შორის სილოსის ჩაღების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. აჭარის სკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გადაჭარბებით გაანაღდონ მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებები. 1 ოქტომბრისათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 91,4 პროცენტით, რძისა — 98,1, კვერცხისა — 95,9 პროცენტით და ა. შ.

ამჟამად აჭარის პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტების მაღალი აქტივობის ვითარებაშია მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები, რომლებზეც კომუნისტები აჯამებენ პარტიის XX ყრილობის შემდეგ მოპოვებულ წარმატებებს და სახავენ ახალ ამოცანებს.

აჭარის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის პატრიოტული ვალია შემდგომ გააძლიერონ მშრომელური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და ახალი, კიდევ უფრო მაღალი წარმატებებით შეხვდნენ ყრილობას.

ვალდებულებებს პირნათლად შევასრულებთ

გ. სანაკოევი,
საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

პარტიის XX ყრილობიდან დიდი დრო არ გასულა, მაგრამ განვლილი პერიოდი აღსავსეა დიდი მოვლენებით, ყველასათვის ცნობილია კოლოსალური წარმატებანი, რაც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. პარტიის XX ყრილობის შემდგომ განვლილ პერიოდში წარმატებები მიღწეულია სამხრეთ ოსეთშიც. სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაცია მთელ თავის შემოქმედებითს საქმიანობას იქითკენ წარმართავდა, რომ უზრუნველეყო ოქტომბრეწველობის ახალი მძლავრი აღმავლობა, კოლმეურნეობათა ეკონომიკის შემდგომი განმტკიცება და მშრომელი მასების კეთილდღეობის განუხრელი ზრდა.

განუწყვეტლივ მატულობს ოქტომბრის სამრეწველო საწარმოთა პროდუქცია. მწყობრში დგებიან ახალი ქარხნები. ფართო ფრონტით გაიშალა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ამ ბოლო წლებში დიდი მასშტაბით მიმდინარეობს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები, რისთვისაც კომპლექსური გეოლოგიური საძიებო პარტია ჩამოყალიბდა.

თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში. წელს სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობებისათვის მიყიდული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ეფექტურად გამოყენებით მოყვანილ იქნა მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი. სამუალოდ ჰექტარზე მთის ზონის კოლმეურნეობათა ფართობების ჩათვლით აღებულია 13 ცენტნერამდე შემოდგომის ხორბალი. არიან კოლმეურნეობები, უმთავრესად დაბალ ზონაში, რომლებმაც ჰექტარზე 20-25 ცენტნერი და მეტი მარცვლეული მიიღეს.

განუწყვეტელი აღმავლობის გზით მიდის და დიდ შემოსავალს იძლევა მეცხოველეობა. პირველი ოქტომბრისათვის ოქტომბრის კოლმეურნეობებში თვითეული საფუძველზე ძროხაზე მიღებულია 920 ლიტრი რძე, 90 ლიტრით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე დროისათვის. მეცხოველეობაში მოპოვებულ წარმატებათა განსამტკიცებლად ვემზადებიდ საკვებ ბაზას. დღეისათვის უკვე დამზადებულია 83 ათასი ტონა სილოსი, 32.752 ტონით მეტი, ვიდრე მთლიანად 1957 წელს.

ჩაებნენ რა წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ოქტომბრის კოლმეურნეობებმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების 9 თვის დავალება. ახლახან პარტიული ორგანიზაციების თაოსნობით კოლმეურნეობებმა ვალდებულება აიღეს პროდუქტების დამზადების წლიური გეგმა შეასრულონ 7 ნოემბრისათვის.

პარტიის XXI ყრილობას საჩუქრებით ხვდებიან ქალაქის მშრომელებიც. ელექტროტექნიკური მრეწველობის ორი ახალი ქარხანა შენდება სტალინირში. ერთ-ერთი მათგანი მალე შეავა მწყობრში. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა თავისი პირველი პროდუქცია გამოუშვას ოქტომბრის რევოლუციის 41 წლისთავის დღისათვის.

რაც უფრო ახლოვდება ყრილობის გახსნის დღე, მით უფრო მატულობს მშრომელთა აქტივობა. ოქტომბრის პარტიული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში.

შრომის, სიხარულის დღეები

მშრომელთა წერილების მიმოხილვა

ყოველდღიურად სულ უფრო ფართოდ ჩაღდება პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, რომლის დროშა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა და გურჯაანის რაიონის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა აღმართეს.

ტყიბულიდან მუშკორი ნ. ჯინჯიხაძე გვწერს:

— ჩაებნენ რა ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი ყოველდღიურად ახალ წარმატებებს აღწევს ქვანახშირისათვის ბრძოლაში. განსაკუთრებით კარგად მუშაობს მეექვსე საექსპლოატაციო უბანი, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა ქვანახშირის ამოღების ცხრა თვის გეგმა, გაზარდა შრომის ნაყოფიერება და შეამცირა ნაკრიანობა. მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ ვ. ცირეკაძის ცალა და გ. ბოჭორიშვილის კომპლექსური ბრიგადა. დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს გამყვანი ე. რიჟამაძე, მებიგე ი. სახელაშვილი, მნგრეველი ლ. გოჩელაშვილი.

დადგა რა პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, საქართველოს დიატომიტის წარმოების კოლექტივმა იკისრა ნედლეულის მოპოვების წლიური გეგმა შეასრულოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავისათვის, სამშობლოს მისცეს ასობით ტონა ზეგეგმითი პროდუქცია. თუ როგორ სრულდება ეს ვალდებულება, ამის შესახებ სწერს რედაქციის საქართველოს დიატომიტის წარმოების დირექტორი ამხ. მ. პავლიაშვილი.

— ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში მისაბაძ მაგალითს იძლევიან მნგრეველები ვ. მელქიძე, გ. ჯეირანიანი, ს. ინასარიძე, გამგორებლები შ. ჩაფიჩაძე, ნ. ბრეგვაძე. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 140-160 პროცენტით ასრულებენ და უკვე მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ.

მიღწეულ იქნას წელს ქარხნის თვითეულ მუშაზე ათასი მანეთის ზეგეგმითი ეკონომია — ამ ლოზუნგით შრომობს ახლა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი. ეკონომიისათვის ბრძოლაში ჩაება ქარხნის ყველა საამქრო, განყოფილება, სამსახური, უბანი, ბრიგადა.

იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან ქუთაისელი ავტომობილმშენებლები ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად, გვწერს ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი.

— მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, — გვატყობინებს იგი. — 9 თვეში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მთლიანი პროდუქციის გამოშვება გადიდდა 12,2 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 10 პროცენტით.

ამ დღეებში საქართველოს ყველა მშრომელი, რომელ უბანზეც უნდა მუშაობდეს იგი, გამსჭვალულია ერთი ფიქრით: იმუშაოს უკეთ, ღირსეულად შეხვდეს მშობლიური პარტიის XXI ყრილობას.



განუხრელად ვითარდება ჩვენი რესპუბლიკის ენერგეტიკული მეურნეობა. ამას წინათ საქართველოს ენერგომომარაგების სისტემაში ჩაირთო გუმათის პირველი ჰესის აგრეგატი. სურათზე: გუმათის პირველი ჰესის ხიდი.

ფოტო ა. საკუნიხა.

შრომის, სიხარულის დღეები

მშრომელთა წერილების მიმოხილვა

ჩვენი პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო. ამის შესახებ გვატყობინებენ სოფლკორები რესპუბლიკის რაიონებიდან. ისინი მოგვითხრობენ საკოლმეურნეო სოფლის ადამიანთა სასახელო საქმეებზე ყრილობისათვის მზადების დღეებში.

—სოფელ წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა, — გვწერს შ. ფიფია, — ამ დღეებში სასახელოდ გაანაღდეს ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები: მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ვალდებულების ზეგეთ მეჩაიეები კიდევ 50 ტონა ფოთოლს მოკრეფენ.

ყრილობისათვის მზადების დღეებში საგრძნობ წარმატებას მიაღწია ტყიბულის რაიონის სოფელ ბუეთის კოლმეურნეობამ. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ჭახრაშვილი რედაქციას სწერს:

—ჯერ კიდევ 16 სექტემბრისათვის 130,5 პროცენტით შევასრულეთ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ახლა ვალდებულებაც განაღდებულია წარმატებები გვაქვს სხვა დარგებშიც. ჰექტარზე გეგმასთან შედარებით ორი ცენტნერით გავზარდეთ სიმინდის მოსავალი. შარშანდელთან შედარებით მაღალია ძროხების წველადობა. შევასრულეთ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებათა გადამეტებით კრეფენ ჩაის ფოთოლს ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყის, ანაშის რაიონის სოფელ ძველი ანაშის, ქობულეთის რაიონის სოფელ გვარას კოლმეურნეობათა მეჩაიეები. ამის შესახებ გვწერენ სოფლკორები მ. ფაცაცია, ლ. თოფურია და ფ. გოლიაძე. მეჩაიეთა მამაცური საქმიანობის შესახებ იწერებიან აგრეთვე ქ. სირაძე (მახარაძის რაიონი) გ. ბერთია (გეგეჭკორის რაიონი), ი. ციკოლია (გალის რაიონი), ნ. ჩინჩილაძე (წულუკიძის რაიონი) და სხვ.

წელს ბევრგან საქართველოში სიმინდის მოსავალიც კარგია. გაზეთის მკითხველი შ. ბაჯელიძე ლანჩხუთიდან გვწერს:

—— მამათელმა კოლმეურნეებმა სიმინდი საუკეთესო აგროვადებში დათესეს, ნიადაგი გაამზიერეს სასუქებით, სამჯერ გათოხნეს და წუნწუხი მორწყეს. მცენარე შესანიშნავად განვითარდა. ორი-სამი ტარო ყოველ ძირ სიმინდზე ჩვეულებრივია. ახლა ჰექტარზე აქ საშუალოდ 60 ცენტნერ სიმინდს იღებენ.

სიმინდის უხვი მოსავლის შესახებ გვწერს აგრეთვე ჩხოროწყუს რაიონიდ სოფლკორი მ. კვირკველია. ოჩამჩირელ მეთამბაქოეთა ნაყოფიერ შრომაზე იწერებიან ვ. დოხნაძე და ა. ქობალია.

ყრილობის აღსანიშნავად შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან ჩვენი მეცხოველეები. მათი წარმატებების შესახებ იწერებიან გ. ლიპარტელიანი (ლენტეხის რაიონი), გ. გვაზავა (ანაშის რაიონი), პ. გამრეკლიძე (ვანის რაიონი), შ. ბაჯელიძე (ლანჩხუთის რაიონი) და სხვ.

ყრილობისათვის მზადების დღეებში კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ზრდიან დოვლათს, ხვავსა და ბარაქას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად



ერევანი-თბილისი

მეგობრობის, სილამაზის ქალაქი

ო. ბაღდასარიანი,
სომხეთის კომპარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

თბილისს — მოძმე საქართველოს მშვენიერ დედაქალაქს ირსებობის 1500 წელი უსრულდება. ეს შესანიშნავი მოვლენა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ჩაიწერება როგორც მისი ერთ-ერთი შესანიშნავი, დაუვიწყარი ფურცელი.

თბილისი თავის იუბილეს აღნიშნავს იმ ისტორიულ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა უმაგალითო პატრიოტული აღფრთოვანებით ემზადება პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად.

დიდი აღმავლობით ემზადება მოძმე ქართველი ხალხი ღირსსახსოვარი თარიღისათვის. ამ წინასადღესასწაულო დღეებში ჩვენ, ერევნის მშრომელები, მთელ სომეხ ხალხთან ერთად ვიზიარებთ თქვენს სიხარულსა და აღფრთოვანებას, ქართველო ძმებო და დებო, და მოგბართავთ სომეხი პოეტის მიერ ქართველი ხალხისადმი მიძღვნილი სიტყვებით:

თანამომძენო! სალამი თქვენდა,
პოეზიაში წვა გერგოთ ხვედრად,
და არარატმა — როგორც ლეგენდა—
გული გიბინა თქვენს შესახვედრად.

თბილისი... ვის არ სმენია ამ წარმტაცი, ამ დიდებული ქალაქის სახელი. თბილისი უძველესი ქალაქია, მაგრამ იგი მარად ჰაუკია. მას არსებობის ათას ხუთასი წელი უსრულდება, მაგრამ მისი ისტორიის საბჭოთა პერიოდი თავისი მნიშვნელობითა და შინაარსით ასობით წლებს უდრის.

ნიჭიერმა და შრომისმოყვარე ქართველმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის უანგარო დახმარებითა და ხელშეწყობით, თავისი სამშობლო მოწინავე, აყვავებულ რესპუბლიკად გადაქცია. ამ წლებში არაჩვეულებრივად იცვალა სახე თბილისმა, რომელიც ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ დიდ სამრეწველო, კულტურულ და სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა.

უძველესი დროიდან მომდინარეობს სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობა. ამ მეგობრობას ისეთივე დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც თვით ამ ხალხებს.

ერთობლივად, ძმურად ჩაუყარეს საფუძველი სომეხმა და ქართველმა ხალხებმა იმ შესანიშნავ კულტურასა და ხელოვნებას, რომლებითაც ამყამად სამართლიანად ამაყობს ორივე მოძმე ხალხი.

თბილისში დაიწყო ჩვენი ორი ხალხის ძმობისა და მეგობრობის აკვანი. ერთი და ორი შემთხვევა როდი ყოფილა, როცა გულღია თბილისს გულითადად მიუღია და თავშესაფარი მიუცია უცხოელთა უღლიდან თავდაღწეული და დახმარებას მოწყურებული სომხებისათვის. საუკუნეთა მანძილზე ამ ქალაქში სომეხ კაცს უხვად უსარგებლია ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობით და მისთვის სამაგიერო თავისი გულწრფელი და უანგარო მეგობრობით გადუხდია. საუკუნეების მანძილზე ამ ქალაქში მეგობრულად ცხოვრობდნენ, შრომობდნენ და მოღვაწეობდნენ სომეხი, ქართველი, აზერბაიჯანელი ხალხის შვილები. აქ წარმოიშვნენ ამიერკავკასიის უძველესი პარტიული ორგანიზაციები. თბილისში საბრძოლო წრთობა მიიღო ხალხთა ბედნიერებისათვის თავდადებულ მებრძოლთა მთელმა შესანიშნავმა პლეადამ.

ფასდაუდებელია თბილისის როლი ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში. თბილისი იყო ცენტრი ამიერკავკასიის ფედერაციისა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკისა და კულტურის აყვავების საქმეში, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების შემდგომი დაახლოებისა და დამეგობრების საქმეში.

თბილისში გაიფურჩქნა სომხური მხატვრული შემოქმედება, შეიქმნა ხელოვნების განსაცვიფრებელი, უბადლო ნიმუშები. თბილისში მოძმე ქართველი ერის საუკეთესო შვილების სიმღერასა და მუსიკასთან ერთად ჟღერდა სომეხი ხალხის ნიჭიერი წარმომადგენლების სიმღერა და მუსიკა. აქ გაიფურჩქნა მრავალმხრივ განსწავლული ნაღაშ ჰოვნათანის, აშუღთა სიამაყის — დიდებული საიათ-ნოვასა და ბევრ სხვათა ნიჭი. თბილისში მრავალი სომეხი ნიჭიერი მწერალი მოღვაწეობდა. თბილისში ქმნიდა თავის მშვენიერ დრამებს უბადლო სუნდუკიანი. თბილისში გაიფურჩქნა და მთელი ძალით აჟღერდა სომეხი ხალხის გენიალური შვილის, სომეხ-ქართველთა მეგობრობის უნიჭიერესი მომღერლის ოვანეს თუმანიანის ჩანგი.

თბილისში აღიზარდა და შემოქმედებითად დავაჟკაცდა დიდი მწერალი ნარდოსი, თბილისში გაიფურჩქნა დიდი სომეხი რომანისტის რაფის ნიჭი. სომხური კულტურისა და ლიტერატურის კიდევ ბევრი ნიჭიერი წარმომადგენელი წლების მანძილზე ცხოვრობდა და შემოქმედებითს მოღვაწეობას ეწეოდა თბილისში. მაგრამ მათი სახელების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

სომეხ ხალხს შეუძლია იამაყოს თავისი სასცენო ხელოვნებით, რომელსაც უკვე ორი ათას წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. და აი თბილისია ის კერა, სადაც გაიშალა სომეხი ხალხის დიდადნიჭიერი მსახიობების შემოქმედება სომხურ სცენაზე. სომეხი ხალხის სასიქადულო შვილებმა ადამიანმა, სირანუშამ, ჩმშკიანმა, აბელიანმა, მაისურიანმა, ისააკ ალიხანიანმა და ბევრმა სხვა დიდმა მსახიობმა თავიანთი სახელები აღბეჭდეს და თავიანთი შემოქმედება უკვდავყვეს თბილისის დიადი ისტორიის ოქროს ფურცლებზე.

აი რატომ არის, რომ სომეხი კაცი, სომხური საზოგადოებრივი აზრი მუდამ აღფრთოვანებითა და მადლიერების გრძნობით იხსენიებდნენ თბილისს. XVII საუკუნის ოსმეხმა მომღერალმა ხატოვნად, გამოთქვა ჩვენი ხალხის გრძნობები თბილისისადმი, როცა შეთხზა და იმღერა:

„...გიმღერ გულით, მხიარულით
ქალაქ თბილისს, დიდებულს“.

ერევნის მატენადარანში დაცულია ძვირფასი მასალები თბილისის შესახებ. IX საუკუნის ერთ-ერთი ისტორიკოსი აღტაცებული წერს „მშვენიერ და გასაოცარ, სახელმოხვეჭილ და განძქმულ დედაქალაქ თბილისზე“.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ისტორიაში არ მოიპოვება ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ამბავი ან მოვლენა, რომლებიც არ ასახულიყო სომხურ ლიტერატურულ ძეგლებსა და ისტორიოგრაფიაში.

ძველთაც და ამჟამადაც მოძმე ქართული ლიტერატურა, ხელოვნება, ენა ჩვენე ხალხის საყვარულისა და შესწავლის საგანს წარმოადგენენ. ჩვენში სიამოვნებით ასრულებენ ქართველი მომღერლებისა და მუსიკოსების სიმღერებსა და მუსიკალურ ნაწარმოებებს; ჩვენი ლიტერატურა ამაყობს შთაგონებული ქართული ლიტერატურის თარგმანებით; ჩვენი ენათმეცნიერები დიდი საყვარულით სწავლობენ ქართულ ენასა და გრამატიკას, სომხური და ქართული ენების ისტორიულ ნათესაურ კავშირს, ადგენენ სომხურ-ქართულ და ქართულ-სომხურ ლექსიკონებს.

სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობა უფრო განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგად. ჩვენი დღევანდელი დღე მდიდარია ამ მეგობრობის შესანიშნავი მაგალითებით. ხალხთა მეგობრობის მკაფიო გამოხატულებაა ორი მოძმე რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების, საწარმოების, კოლმეურნეობების ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება. ქალაქ ერევნის ლენინის რაიონი ეჯიბრება თბილისის ოქტომბრის რაიონს. ეს არის ორი ნამდვილი მეგობრის შეჯიბრება, თვითეული მათგანის წარმატება თანაბრად ახარებს ორივეს. ამ რაიონების მშრომელთა დელეგაციების ურთიერთ სტუმრობა ძმობისა და მეგობრობის ნამდვილ დღესასწაულად იქცევა ხოლმე.

უკვე ოც წელზე მეტია, რაც ერთმანეთს ეჯიბრებიან საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფელ ნატაენების და სომხეთის სსრ ჭოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანის კოლმეურნეობები. სასიამოვნო სანახავია, თუ როგორი კეთილი ურთიერთობა აქვთ ამ კოლმეურნეობების მშრომელებს. ნატაენებში მანდარინის სპეციალური ბაღია გამოყოფილი სომეხი კოლმეურნეებისათვის, ნალბანდიანში კი ვენახი — ქართველი კოლმეურნეებისათვის. და შემთხვევითი არ არის, რომ ამ ბაღებს „მეგობრობის ბაღები“ უწოდეს.

მჭიდრო ურთიერთკავშირია დამყარებული ერევნისა და თბილისის სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნეშნისა და ლიტერატურის მოღვაწეებს შორის. თბილისში და ერევანში დროდადრო იმართება ერთობლივი სამეცნიერო სესიები, რაც უფრო აახლოებს ორი რესპუბლიკის მეცნიერებს, ხელს უწყობს მეცნიერული აზრის განვითარებას.

სომხეთისა და საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ურთიერთობა გამოხატულებას პოულობს ბევრი სხვა ფორმითაც. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის სპეციალურ კურსს კითხულობს. ენათმეცნიერი, დოქტორი-პროფესორი გურგენ სევაკი წელს სომხური ენის შესახებ ლექციებს წაიკითხავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

წელს გამართული ამიერკავკასიის „თეატრალური გაზაფხული“ დიდი მოვლენა იყო თბილისის, ბაქოსა და ერევნის მშრომელთა კულტურულ ცხოვრებაში. ერევნის მაყურებლებმა გულმხურვალედ მიიღეს თბილისისა და ბაქოს სცენის ოსტატთა გამოსვლები. ასევე მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ერევნის თეატრის სპექტაკლებმა თბილისსა და ბაქოში.

ხალხთა ურღვევი მეგობრობა, რომელიც გამოქედა და გამაწრთო დიადმა კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენი წარმატებების უტყუარი საწინდარია. ამიერკავკასიის სამ დედაქალაქს ერთმანეთთან მჭიდრო სამეურნეო და კულტურული კავშირი აქვს. თბილისის საწარმოები ერევანს უგზავნიან ყველაფერს, რაც მას ესაჭიროება და, პირიქით, ერევნის საწარმოები თბილისს აწვდიან მისთვის საჭირო პროდუქციას.

ერევნის მშრომელები დიდი სიყვარულით ემზადებიან თბილისის 1500 წლისთავის იუბილესათვის. საწარმოებში იმართება საუბრები სომეხი და ქართველი ხალხების საუკუნო მეგობრობის, საქართველოს მშვენიერი დედაქალაქის შესახებ. ბიბლიოთეკებში, კლუბებში, კულტურის სახლებში მზადდება თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენები. იუბილეს დღეებში ქალაქში მოეწყობა სახელოვანი თარიღისადმი მიძღვნილი მოხსენებები. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცალკეული ლექტორები ამზადებენ სპეციალურ ლექციებს, რომლებსაც თბილისში წაიკითხავენ. ლიტერატურათმცოდნე ვაჩე ნალბანდიანმა დასაბეჭდად მომზადა შრომა „თბილისი სომხურ ისტორიოგრაფიაში“. სომეხი პოეტები წერენ ახალ ლექსებს თბილისზე.

ერევნელები იზიარებენ თბილისელების სადღესასწაულო სიხარულს და უსურვებენ მათ შემდგომ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

ერევნელების გულის ძახილია: მარად ურყევი იყოს, აყვავდეს და გაიფურჩქნოს თბილისი — საბჭოთა საქართველოს ბრწყინვალე დედაქალაქი!

გისურვებთ წარმატებებს, ძმებო!

წერილი თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კოლექტივს ერევნის ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივისაგან

ძვირფასო ამხანაგებო!

სიხარულით შევიტყეთ, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში, მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის მზადების შესანიშნავ დღეებში ქართველი ხალხი იდღესასწაულებს თავისი საყვარელი დედაქალაქის — თბილისის არსებობის 1500 წლისთავს. ეს დიდი დღესასწაულია, მთელი ქართველი ხალხის ზეიმი. იგი ჩვენც გვახარებს. ტყუილად როდი ამბობენ, როცა ძმის ოჯახში ზეიმია, შენს ოჯახშიც დღესასწაულიაო. ჩვენც ვხარობთ, ჩვენც ვემზადებით დიდი ზეიმისათვის.

ჩვენი ორი მოძმე ხალხის მეგობრობა ძველთაგანვე მომდინარეობს, იგი შედუღაბებულია უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლებში. ძველთაგანვე ჩვენმა ხალხებმა ერთმანეთი შეიცნეს და შეიყვარეს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ ბრძოლებში. ასე წარმოიშვა ჩვენი მეგობრობა და ამიტომ არის, რომ იგი დიადი და სამარადისოა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩვენი ხალხების მეგობრული კავშირი უფრო განმტკიცდა. დაიწყო ჩვენი ხალხების ჭეშმარიტი თავისუფალი ცხოვრება. საქართველო და მისი დედაქალაქი არაჩვეულებრივად განვითარდნენ და გაიფურჩქნენ. თქვენი თბილისი, თქვენი მტკვარი ჩვენთვის მახლობელი და საყვარელია, როგორც ჩვენი ერევანი, ჩვენი ზანგუ...

ჩვენი ქარხნის კოლექტივი მჭიდრო მეგობრულ შემოქმედებითს კავშირშია თქვენთან. თქვენი საწარმოო გამარჯვებები ჩვენც გვახარებს. ჩვენ ხომ ერთმანეთს ვეჯიბრებით, ჩვენ ხომ ერთი მიზანი გვამოქმედებს. თქვენთან შეჯიბრებამ, რაც ტრადიციად იქცა, მნიშვნელოვანი მიღწევები მოგვიპოვა. ჩვენი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს სიხარულით შეუძლიათ გაცნობონ, რომ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად მიმდინარე წლის 9 თვის საწარმოო გეგმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეთ და თვის ბოლომდე გამოვუშვით ერთ მილიონამდე მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. სამშობლოს მივეცით ასობით ზეგეგმითი ელექტრომანქანა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაიგზავნა. განვლილ ცხრა თვეში მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

ამ წარმატებათა გამო ჩვენმა საწარმომ სომხეთის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და სომხეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

ეჭვი არ გვეპარება, რომ თქვენც პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგად საუკეთესო საწარმოო გამარჯვებებით ეგებებით ეგებებით თბილისის სახელოვან იუბილეს.

თქვენი სახით ჩვენ ვულოცავთ მთელ ქართველ ხალხს დიდ დღესასწაულს — თბილისის დაარსების 1500 წლისთავს და ვუსურვებთ მას ახალ-ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ერევნის ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივის სახელით:

ქარხნის დირექტორი რ. ალანაკიანი, ქარხნის მთავარი ინჟინერი ლ. ნერსესიანი, ქარხკომის თავმჯდომარე მ. თაიროვი, ალკკ კომიტეტის მდივანი ხ. ჯარათალიანი, მგეგმავი-ეკონომისტი ო. კასრაძე, მუშები—მ. გალაჯიანი, ჯ. ვაჯანიანი, მ. ხაჩოიანი, საამქროს ოსტატი ვ. ხაჩატრიანი, საამქროს უფროსი ბ. მარტიროსიანი, პარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი ვ. მეგრაბიანი.

„სადაც დაირწა ჩემი აკვანი“

გამოჩენილი მეცნიერი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ი. გ. მაღაკიანი თბილისში დაიბადა. „კომუნისტის“ თანამშრომელთან საუბარში დოქტორმა ი. გ. მაღაკიანმა განაცხადა:

— მე ფართო ურთიერთობა და მეგობრობა მაქვს საქართველოს მეცნიერგეოლოგებთან. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ თბილისში დავიბადე.

ამ მშვენიერ ქალაქში დაირწა ჩემი აკვანი. თბილისშივე დავამთავრე საშუალო სკოლა და ორი წლის განმავლობაში ვსწავლობდი ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიულ ინსტიტუტში.

თბილისში ბევრია ჩემი სკოლის ამხანაგი, თანაკურსელი. თბილისში არიან ჩემი მასწავლებლებიც — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ჯანელიძე, პროფესორები ი. კაჭარავა, გ. გვახარია და სხვები. მათ ვუმადლი იმ ცოდნას, რომელიც გეოლოგიასა და მინერალოგიაში მივიღე.

მოვამზადე და დასაბეჭდად გადავეცი „მეტალურგიის საფუძვლები“, რომელსაც დართული აქვს მსოფლიოს მეტალოლოგიური რუკა. ვამთავრებ მუშაობას წიგნის „მდნეული საბადოები“ კვლავ გამოსაცემად.

ჩემი მშობლიური ქალაქის 1500 წლისთავის სახელოვან იუბილესთან დაკავშირებით, — ამბობს დასასრულ დოქტორი ი. მაღაკიანი, — მსურს გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით თბილისის მეცნიერებს, ყველა მშრომელს გადავცე ჩემი მილოცვა და საუკეთესო ხურვილები. ჩემს თბილისელ კოლეგებს სულით და გულით ვუსურვებ ახალ დიდ წარმატებებს მეცნიერებაში.

გელამ სარიანი

სიმღერა თბილისზე

ჩემი სიმღერა დღეს შენთვის
მღერის,
სიმხნით, სიტურფით,
მშვენებით სრულო,
თბილისო, სუნთქვავ ქართველი
ერის,

შენ, საქართველოს
მხურვალე გულო!

ერევნის დილა ვარდისფრად
ელავს,

შენ მისი ტუუბი
და მისი ძმა ხარ,
ხარ მეგობრობის და ძმობის კერა,
ძმობის სუფრაზე
თამადად დგახარ!

ძმობის სიმღერა ძველთაგან
განთებს,
სტუმართმოყვარეს
ღიმილი გშვენის,
შენს ჭერქვეშ ეძმო სომეხი
ქართველს,

ძმად გაიფიცნენ
ხალხები ჩვენი.

მანდ ფრთახა შლიდა ხაჩატურ
ბრძენი,

ტკბილი ოვანეს —
ხალხის მგოსანი,
სუნდუკიანსაც აკაკიმ ხელი
მანდ ჩამოართვა
პატიოსანი.

მანდ მოხიბლულან მგოსნები
რუსის,

შენს წინ სიმღერით
გაჩერებულან,
მანდ საიათ-ნოვა გულიდან გულში
ოქროს სიმებით
აუღერებულა.

რა სიმღერა და რა გუგუნია!
ოქტომბრის დილას
შეჭხარი ახალს.
გმირო, თხუთმეტი საუკუნეა
ქართველი ხალხის
დიდებად დგახარ!

ჩემი სიმღერა დღეს შენთვის
მღერის,

სიმხნით, სიტურფით,
მშვენებით სრულო,
თბილისო, სუნთქვავ ქართველი
ერის,

შენ, საქართველოს
მხურვალე გულო!

სომხურიდან თარგმნა
მურმან ლებანიძემ.

მშოგლიური, საყვარელი...

ტ. საბანდარიანი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

თბილისი...

ჩვენი მოძმე საქართველოს რესპუბლიკის ზღაპრულად ლამაზი, მუდამ ნათელი დედაქალაქი.

ამ მარად ახალგაზრდა ქალაქს 1500 წელი უსრულდება! რა ხანდაზმულობაა!... ყველაფერი კი ამ ქალაქში მარად ახალგაზრდა, ცხოველმყოფელი, აყვავებულია...

ახალგაზრდა, ლამაზი და ბედნიერია იგი ჩვენი დიადი საშობლოს საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში. ამიტომ დიადი თარიღი ასე ახარებს დღეს ყველას.

ჩვენთვის, უახლოესი მეზობლებისა და ძმებისათვის ეს დღესასწაული ორმაგად უფრო ძვირფასი და სასურველია.

საუკუნეებია მოდის ეს მეგობრობა. სომეხი ხალხის სახელოვანი შვილები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ჩვენს ძვირფას, სტუმართმოყვარე თბილისში.

მრავალი წლის მანძილზე სომხური დრამის საუკეთესო არტისტული დასები იქმნებოდნენ და მოქმედებდნენ აქ, მტკვრის ნაპირებზე ასე ლამაზად გადაშლილ ქალაქში.

სწორედ აქ, თბილისში, სულ ცოტა ხნის წინათ აღინიშნა სომხური სახელმწიფო დრამის 100 წლისთავი.

თბილისი ყოველთვის ლამაზი იყო, მაგრამ ისეთი ლამაზი, როგორიც დღეს არის, არასოდეს არა ყოფილა! დიდმა ოქტომბერმა მოუტანა მას ეს სილამაზე, სიმდიდრე, სიუხვე. მთელი თავისი მშვენებით წარმოსდგა იგი ჩვენს წინაშე.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ სულ ცოტა ხნისწინანდელი ჩვენი შეხვედრა ამ ქალაქში მომთხოვნ, მაგრამ საყვარელ მაყურებელთან.

ეს იყო სპენდიარიანის სახელობის თეატრის გასტროლების დღეებში. რამდენი ძვირფასი, დაუვიწყარი შთაბეჭდილება დაგვრჩა!..

არაერთხელ ვყოფილვარ ამ ქალაქის სცენებზე, დიდი ხანია ვიცნობ შესანიშნავ თბილისელ მაყურებელს, მაგრამ არასოდეს ისე კარგად არ მიგრძვნია თავი, როგორც იმ დღეებში. ჩვენ გარემოსილი ვიყავით ისეთი ყურადღებით, ისეთი ალერსით, რომლის დავიწყება შეუძლებელია და მით უმეტეს შეუძლებელია გადმოცემა.

თბილისელთა სტუმართმოყვარეობა უსაზღვროა, და, ცხადია, შემთხვევითი როდია, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ასე ბევრი ღონისძიება, ზეიმი და დღესასწაული ამ შესანიშნავ ქალაქში ეწყობა.

კომპოზიტორები და მხატვრები, თეატრები და მუსიკალური კოლექტივები არაერთხელ ხვდებოდნენ ერთმანეთს, დავობდნენ და ხარობდნენ, გულისტკივილს განიცდიდნენ და ზეიმობდნენ ამ ნათელ, მზიურ ქალაქში.

მაგრამ ყველაზე უფრო მეტად თბილისი იმიტომ არის საყვარელი, რომ ამ ქალაქში უმაგალითოდ აყვავდა, დავაჟკაცდა და სახელი გაითქვა მოძმე საქართველოს კულტურამ და ხელოვნებამ.

„დაისი“, „აბესალომ და ეთერი“, „გორდა“ და „ოტელო“ დიდი რუსთაველის მიწაზე აჟღერდნენ. ტილოზე, მარმარილოზე გადატანილია ბედნიერი საბჭოთა საქართველოს ცხოვრება, ბუნება, ადამიანები.

თვალმარგალიტი უწოდეს ჩვენს მოძმე რესპუბლიკას, და ეს საუკეთესოდ წარმოგვიდგენს მის სახეს... დაე თვალმარგალიტივით ბრწყინავდეს ბედნიერი საბჭოთა რესპუბლიკა და მისი შესანიშნავი დედაქალაქი ჩვენი დიადი საშობლოს ხალხთა ოჯახში!

ძველი, ჭაღარა არარატისაგან, სევანის ცისფერი, მუდამ კამკამა ზვირთებისაგან დიდი, გულის სიღრმიდან აღმომხდარი სალამი თქვენ, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო და ძმებო! ჩვენი სომხური სალამი!..



ქ. ერევანი. ლენინის მოედანი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ნიუ-იორკიდან გამოემგზავრა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ნიუ-იორკიდან სამშობლოში გემით გაემგზავრა საბჭოთა დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური იქნება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი.

საერთაშორისო თათბირი კომუნისტური და მუშათა პარტიების ისტორიის საკითხებზე

ბერლინი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო გადმოგცემს, ბერლინში გაიხსნა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტების, აგრეთვე კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტებისა და კომისიების წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირს ესწრებიან საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციები, აგრეთვე ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, იტალიის, ავსტრიის, ნორვეგიის, შვეიცარიისა და გერმანიის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები.

თათბირი განიხილავს საკითხებსა და პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია კომუნისტური და მუშათა პარტიების ისტორიის შესწავლასთან და სახელმძღვანელოთა დამუშავებასთან, აგრეთვე იმ გამოცდილების მეცნიერულ განზოგადებასთან, რომელიც შეძენილია საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ისტორიის შესწავლის დროს.

სოფიაში ჩავიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

სოფია, 8 ოქტომბერი. (საკდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ხელგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მოწვეევით დღეს სოფიაში მეგობრობის ვიზიტით ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვალტერ ულბრიხტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოტო გროტეოლის მეთაურობით.

სოფიის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ალმებით, მოიმე რესპუბლიკის წარმომადგენლებს შეხვდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანტონ იუგოვი და სხვა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, სოფიაში აკრედიტებული სოციალისტური ქვეყნების საელჩოთა მეთაურები და წევრები, დედაქალაქის მშრომელები.

ანტონ იუგოვმა და ვალტერ ულბრიხტმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სერიოზული გაფრთხილება

პეკინი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

8 ოქტომბერს ამერიკის ორი სამხედრო ხომალდი კვლავ შეიჭრა ჩინეთის ტერიტორიულ წყლებში ფუქიანის პროვინციის მაძუდაოსა და პინტანის რაიონებში. ეს ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჯერ კიდევ განაგრძობენ სამხედრო პროვოკაციებს ჩინეთის მიმართ. ამასთან დაკავშირებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს დავალებული აქვს გააკეთოს 25-ე სერიოზული გაფრთხილება.

„შევიგნოთ რეალური ფაქტები“...

ელეონორა რუზველტის სტატია

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ პოსტმა“ დაიწყო ქ-ნ ელეონორა რუზველტის სტატიების სერიის გამოქვეყნება, რომელშიც იგი აღწერს თავის მოგზაურობას საბჭოთა კავშირში. ქ-ნი რუზველტი მოუწოდებს უარი თქვან „ბრმა ცრურწმენებზე“ სსრ კავშირის მიმართ. საჭიროა, წერს იგი, „ვისწავლოთ თანაარსებობა სხვა ტიპის მართვის სისტემებსა და ეკონომიურ სისტემებთან...“.

„რამდენადაც ჩვენ არ მოგვწონს კომუნისტური სისტემა, —განაგრძობს ე. რუზველტი, — ვამჯობინებთ დავიჯეროთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძებთ და აღმოვაჩენთ, რომ საბჭოთა კავშირი რაღაც სასწაულით გაქრა. დროა ჩვენ, როგორც ხალხმა, გავიღვიძოთ და შევიგნოთ ის სინამდვილე, რომ იგი არ გამქრალა...“

ქ-ნი რუზველტი აღნიშნავს, კერძოდ, საბჭოთა კავშირის წარმატებებს განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. „წინათ, — წერს იგი, — მათ არ ჰქონდათ განათლების სისტემა და ძალიან ცოტა შესაძლებლობა იყო ჯანმრთელობის დაცვისათვის. დღეს მათ აქვთ განათლების სისტემა, მშვენიერი უფასო პროფილაქტიკური მედიცინა, ჯანმრთელობის დაცვა, რომელიც მათ აგრეთვე არაფრად არ ულირთ, მათი ცხოვრების დონე გაციალებით უფრო მაღალია, ვიდრე ცარიზმის დროს...

მთავრობას მიაჩნია, რომ მას ესაჭიროება დიდადგანათლებული ადამიანები, და მთავრობას სწამს მეცნიერული გამოკვლევანი.. ხალხი სარგებლობს მეცნიერული მიღწევების ყველა მოგვბით ყველა დარგში, და იგი მალე გაიგებს მათ დირებულებას.

ვფიქრობ, შეერთებულმა შტატებმა, როგორც ქვეყანამ, უნდა შეიგნონ ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის რეალური ფაქტები“.

„გაიხსენეთ ისტორია, — განაგრძობს ავტორი, — და შეეცადეთ გადაწყვიტოთ, ხომ არ არის დრო მივაღწიოთ რაიმე შეთანხმებას კომუნისტურ ჩინეთთან და საბჭოთა კავშირთან. როცა ჩვენ უარს ვამბობთ ვიცაცროთ, ვაიძულებთ მათ შექმნან ქარხნები იმის საწარმოებლად, რის ყიდვაც ჩვენგან შეეძლოთ...

თუ ჩვენ შევიგნებთ, რომ საქმე გვაქვს ჩვენს ტოლებთან, რომ მათ აქვთ ცნობის, მათი თანასწორობის უფლება, რომ ორივე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ისეთი გარანტიები, რომლებიც, ჩვენი აზრით, განამტკიცებს ჩვენში უშიშროების გრძნობას, მაშინ შევძლებთ გამოვნახოთ გადაწყვეტა.

როგორც კი შევიგნებთ ამ რეალობას და აუცილებელ მოთხოვნილებას, ჩვენ შევძლებთ დავიწყოთ მოლაპარაკება. მგონია ამისათვის დაგვჭირდება ჩვენი საუკეთესო ადამიანები და ჩვენი საუკეთესო სპეციალისტები მოლაპარაკების საწარმოებლად. რაც უფრო მალე შევწყვეტთ ლაპარაკს ომზე, როგორც შესაძლებლობაზე, მით უფრო მალე შევიგნებთ ახლანდელი მდგომარეობის რეალურ ფაქტებს და დავიწყებთ დღევანდელი პრობლემების გადაჭრას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი ფოტოსურათებში



როგორ შეიძლება ახსენო თბილისი და თვალწინ არ წარმოგიდგეს მთაწმინდა, მისი მარადმწვანე კალთები, ქართველ მოღვაწეთა პანთეონი, ტელევიზიის ცამდე აზიდული ანძა და, რაც მთავარია, შესანიშნავი ფუნიკულორი. პირველ სურათზე სწორედ ახლანდელი მთაწმინდაა ასახული.

ახლა შეხედეთ მეორე სურათს. ისიც თბილისელთა საყვარელი მთაწმინდაა, გადაღებულია ამ სამოცდაოდე წლის წინათ. მაშინ მთაწმინდაზე ფუნიკულორი არ იყო, მთის კალთებზე არ იდგნენ ხეები, ნიალვარს ჩამოერეცხა მთის შიშველი კალთები.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტეს ჩანკაიშელთა სატრანსპორტო გემების ბიდრაგობა, რომლებიც კუნძულ ძინმინდაოზე მიდიან. სახელმწიფო დეპარტამენტმა იქვე განაცხადა, რომ თუ ჩინეთის სახალხო-განმთავისუფლებელი არმია კვლავ დაუწყებს სროლას ძინმინდაოს, ბიდრაგობის სისტემა „მაშინვე იქნება აღდგენილი“.

ვაშინგტონი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა დღეს გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები ლიბანიდან გაყვანილი იქნებიან 31 ოქტომბრისათვის, „თუ არ მოხდა რაიმე გაუთვალისწინებელი ამბავი“.

ჩეხოსლოვაკიამ ცნო გვინეის რესპუბლიკა

პრაღა, 8 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტ სეკუ ტურეს დეპეშის პასუხად აცნობა, რომ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა მზად არის დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა გვინეის რესპუბლიკასთან და გაცვალოს დიპლომატიური წარმომადგენლები.

მდგომარეობა პაკისტანში

კარაჩი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). პაკისტანის პრეზიდენტმა ისკანდერ მირზამ გამოაცხადა, რომ პაკისტანში შემოღებულია სამხედრო წესები. გუშინ საღამოს გამოქვეყნებულ პროკლამაციაში პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გაუქმებულია 1956 წლის კონსტიტუცია, დათხოვნილია ეროვნული კრება და პროვინციების საკანონმდებლო კრებები, დათხოვნილია რესპუბლიკის სირიის რაიონის აღმასრულებელი საბჭოს შექმნის შესახებ; მეოთხე დეკრეტი — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეთა დანიშვნის შესახებ; მეხუთე დეკრეტი — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეგვიპტისა და სირიის რაიონების აღმასრულებელი საბჭოების თავმჯდომარეთა შესახებ, რომლებიც ამავე დროს იქნებიან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო მინისტრები.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტეს ჩანკაიშელთა სატრანსპორტო გემების ბიდრაგობა, რომლებიც კუნძულ ძინმინდაოზე მიდიან. სახელმწიფო დეპარტამენტმა იქვე განაცხადა, რომ თუ ჩინეთის სახალხო-განმთავისუფლებელი არმია კვლავ დაუწყებს სროლას ძინმინდაოს, ბიდრაგობის სისტემა „მაშინვე იქნება აღდგენილი“.

ვაშინგტონი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა დღეს გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები ლიბანიდან გაყვანილი იქნებიან 31 ოქტომბრისათვის, „თუ არ მოხდა რაიმე გაუთვალისწინებელი ამბავი“.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილებაში

1958 წლის 8 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ი. პოპოვმა მიიწვია ამერიკის რადიომაუწყებელი კომპანიის „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ მოსკოველი კორესპონდენტი ბ. ნიეენი. ნიეენს განეცხადა, რომ იმის გამო, რომ ამ ბოლო დროს აღნიშნული რადიოკომპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში აწყობს მკვეთრ ანტისაბჭოთა ცილისმწამებლურ რადიოგადაცემებსა და სატელევიზიო გადაცემებს, „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ კომპანიის ბიუროს შემდგომი ყოფნა სსრ კავშირში შესაძლებელი არ არის.

ბრაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ნასერის დეკრეტები მთავრობის ორგანოების შესახებ

კაირო, 8 ოქტომბერი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა გუშინ გამოსცა დეკრეტები არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის ორგანოების შესახებ: პირველი დეკრეტი — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის შექმნის შესახებ; მეორე დეკრეტი—არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეგვიპტის რაიონის აღმასრულებელი საბჭოს შექმნის შესახებ; მესამე დეკრეტი — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონის აღმასრულებელი საბჭოს შექმნის შესახებ; მეოთხე დეკრეტი — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეთა დანიშვნის შესახებ; მეხუთე დეკრეტი — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეგვიპტისა და სირიის რაიონების აღმასრულებელი საბჭოების თავმჯდომარეთა შესახებ, რომლებიც ამავე დროს იქნებიან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო მინისტრები.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

XIII საშაჰადრაკო ოლიმპიადაზე

მიუნხენი. 8 ოქტომბერს XIII საერთაშორისო საშაჰადრაკო ოლიმპიადის ნახევარფინალური შეჯიბრების მე-7 ტურში საბჭოთა კავშირის გუნდი შეხვდა დანიის მოშაჰადრაკეთა კოლექტივს და დაამარცხა იგი ანგარიშით 3:1.

მე-8 ტურში საბჭოთა მოშაჰადრაკეები ეთამაშნენ პუერტო-რიკოს გუნდს. ანგარიშია 2,5:0,5 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ (ერთი პარტია გადადგა საბჭოთა სპორტსმენის უპირატესობით).

ამრიგად საბჭოთა კავშირის მოშაჰადრაკეთა კოლექტივი თავის ჯგუფში პირველ ადგილზე გამოვიდა.

ფეხბურთი

8 ოქტომბერს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალში თავის მინდორზე მიიღო მოსკოვის „ლოკომოტივი“. მატჩი მოიგეს რკინიგზელებმა ანგარიშით 2:0.

11-12 ოქტომბერს გაიმართება მეოთხედფინალური მატჩები. ეროვნულის შეხვდებიან „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ზნამია ტრუდა“ (ორეხოვო-ზუევო), „ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (კრასნოიარსკი), „პახტაკორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (მოსკოვი).

ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში

დაიწყო სსრ კავშირის პირველობა შაიბიან ჰოკეიში. ჩემპიონის ოქრის მედლის მოპოვებისათვის იბრძვის „ა“ კლასის ათი უძლიერესი კოლექტივი — მოსკოვის ცსკმო, „დინამო“, „კრილია სოვეტოვი“, „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“, ლენინგრადის „ავანგარდი“, სკვო, ვოსკრესენსკის „ხიმიკი“, ჩელიაბინსკის „ავანგარდი“ და გორკის „ტორპედო“.

დღეისათვის წინ არის მოსკოვის ცსკმო-ს ჰოკეისტთა გუნდი, რომელმაც დაამარცხა მოსკოვის „კრილია სოვეტოვი“ 8:3 და გორკის „ტორპედო —12:1.

მსოფლიო პირველობაზე შაშში

ჰაბანა, 8 ოქტომბერი. ახუჯრედოვან შაშში მსოფლიო პირველობის მატჩის მესამე პარტია საბჭოთა გროსმაისტერ კუპერმანსა და კანადელ მსოფლიო ჩემპიონ დოლორიეს შორის 48-ე სვლაზე უაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიშია 1,5:1,5.

შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებითს სპორტში

დამთავრდა საქართველოს მე-14 ტრადიციული შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებითს სპორტში. მასში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, ქუთაისის, გაგრის, ფოთის, სტალინირის, გორის, ზუგდიდის, მახარაძისა და სხვა საქალაქო სახანძრო რაზმებმა, 200-ზე მეტმა კაცმა.

ჯგუფების მეხედეთ პირველი ადგილები დაიკავეს თბილისის, ქუთაისის და ქობულეთის მეხანძრეებმა. რესპუბლიკის სახანძრო დაცვის ჩემპიონობა კვლავ მოიპოვა საქართველოს არაერთ გზის და სსრ კავშირის 1955 წლის ჩემპიონმა მ. დარაცმელიამ (ბათუმი).

მოკლედ

⊙ თბილისში „დინამოს“ სტადიონზე გამართულ საქართველოს მძლეოსანთა შეჯიბრებებზე ნ. სერგეევმა 5 კილომეტრი გაირბინა 14 წუთსა და 52,8 წამში და 4 წამით გაუსწრო სპორტის ოსტატ ვაშაკიძის რესპუბლიკური რეკორდი.

⊙ თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ ესტაფეტაში „ქალაქის რკალი“ გაიმარჯვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნებმა.

⊙ ამხანაგური შეხვედრებისა ერთობლივი წვრთნის ჩასატარებლად ჩამოვიდნენ სახალხო რესპუბლიკებიდან გაეგზავნა საბჭოთა წყალბურთელთა და მცურავთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად არიან თბილისელი მცურავი ბ. ნიკიტინი და მწვრთნელი ( ) იოანკიმდი.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

საგინაო მუშებლობის ფართო მასშტაბი

რუმინეთში სახელმწიფოს და კოოპერაციული ორგანიზაციების სახსრებით 1951-1957 წლებში 59.642 ბინა აშენდა. უკანასკნელ წლებში ბევრმა მშრომელმა სახელმწიფოს მიერ მიცემული კრედიტით ინდივიდუალური ბინა აიშენა. გასული წლის დამლევისათვის ამრიგად განაშენიანებული ფართობი 366.800 კვადრატულ მეტრს უდრიდა.

ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის საარსებო დონის ამაღლების მეოხებით ამავე ხნის განმავლობაში მოქალაქეთა პირადი სახსრებით აშენდა 250.000-ზე მეტი ბინა.

ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა მუშათა დაბებში. რუმინეთის ქვანახშირის მრეწველობის ცენტრში — ჟიუს ველზე 5 წლის განმავლობაში აშენდა 136 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, 54 ინდივიდუალური სახლი — სულ 3.000 ბინა. ამავე დროს აშენდა 11 საერთო საცხოვრებელი, რომლებშიც 3.000-ზე მეტი ადგილია მარტოხელა მუშებისათვის.

მსხვილი სამრეწველო ობიექტების მშენებლობასთან ერთად, რაც ამჟამად გაიშალა, მოლდოვაში, ტრანსილვანიასა და დობრუჯაში აშენებენ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს, რომლებშიც ამ ახალი მუშათა დაბების მუშები იცხოვრებენ.

ბუქარესტის ცენტრშიც შენდება საცხოვრებელი სახლების, დიდი კორპუსები, რომლებშიც ათასობით ბინა იქნება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ბერლინის ჭაბუკები და ქალიშვილები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ატომური შეიარაღების წინააღმდეგ სპროტესტო მოძრაობაში. თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის წევრები „მშვიდობის ვახტზე“ დგანან, აწყობენ დემონსტრაციებს, რომლებზეც დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას მოუწოდებენ დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღების წინააღმდეგ აქტიური მოქმედებისაკენ. სურათზე: თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის წევრთა დემონსტრაცია დასავლეთ ბერლინის რაიონ შარლოტენბურგში. ახალგაზრდობას მიაქვს ტრანსპარანტი, რომელსაც აწერია ლოზუნგი: „ვიბრძოლოთ ატომური სიკვდილის წინააღმდეგ!“.

ფოტო ცენტრალბილდისა.

ᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

⊙ რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით მთელ რუმინეთში ხორციელდება მრავალი ღონისძიება. კლუბში, პეტროშანში, ვალია ჟიულუის ველის მეშახტეთა ბევრ დაბაში გაიმართა საზეიმო კრებები, კრაიოვაში დაიწყო საბჭოთა ფილმების ფესტივალი. დედაქალაქის კლუბებსა და კულტურის სახლებში გაიმართა ლექციები რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შესახებ, საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობის შესახებ, მშვიდობისათვის ბრძოლის შესახებ.

⊙ ადის-აბებაში (ეთიოპია) გაიხსნა 6-16 წლის ასაკის საბჭოთა ბავშვების ნახატების გამოფენა.

გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრის 73 ნახატი, ღია იქნება ამა წლის 27 ოქტომბრამდე.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ ეთიოპიის განათლებისა და კაზმულ ხელოვნებათა სამინისტროს ოფიციალური პირები, ცენტრალური და პროვინციული მთავრობები, აკრძალულია პოლიტიკური პარტიები. პრეზიდენტმა პაკისტანის არმიის მთავარსარდალი გენერალი მოჰამედ აიუბ-ხანი დანიშნა სამხედრო წესების კანონის განხორციელების ადმინისტრაციის მეთაურად და მის სარდლობაში გადასცა პაკისტანის მთელი შეიარაღებული ძალები.

⊙ 8 ოქტომბერს ბონში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი.

იუწყებიან, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ადენაუერთან მაკმილანის მოლაპარაკების დროს განხილული იქნება „აქტუალური საკითხები“. კერძოდ, განიხილავენ აგრეთვე მდგომარეობას ახლო და შორეულ აღმოსავლეთში, გერმანიის პრობლემასა და სხვა საკითხებს.

⊙ როგორც ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა მიჰყიდოს ისრაელის მთავრობას „ს“ ტიპის ორი მოდერნიზებული წყალქვეშა ნავი „სტრინგერი“ და „სენგუინი“, რომელთა წყალწყვა უდრის 715 ტონას თვითეულისა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მოღოცვა ინდოეთიდან თბილისის 1500 წლისთავის გამო

მიმდინარე წლის აგვისტოში თბილისში იყო ინდოეთის ფეიერთა კავშირის გენერალური მდივანი არუნ სენი. იგი იყო საქართველოს საფეიერო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სტუმარი.

ამ დღეებში ინდოეთიდან არუნ სენისაგან მოვიდა ორი წერილი. ერთი მათგანი გამოგზავნილია საფეიერო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის ე. ღავთაძის სახელზე, მეორე — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ა. მელაძის სახელზე.

პირველ წერილში არუნ სენი წერს: „ნება მიბოძეთ მივულოცო თბილისის მოსახლეობას ქალაქის მომავალი 1500 წლისთავი. მოგონებანი თბილისსა და მის საუცხოო ადამიანებზე სამუდამოდ დარჩება ჩემს გულში.

ჩემი პატივისცემისა და საუკეთესო სურვილების ნიშნად მე პატარა საჩუქარი გამოვუგზავნე თბილისის მოქალაქეებს 1500 წლისთავის გამო. იმედი მაქვს, რომ ჩვენი მეგობრობა მარადიულ იქნება. გისურვებთ შემდგომ აყვავებას, წარმატებას თქვენს გრანდიოზულ გარდაქმნებში და ვუსურვებ კეთილდღეობას თქვენი გასაოცარი სამშობლოს ხალხს“.

მეორე წერილში, კერძოდ, ნათქვამია: „თბილისელთა სიყვარული და სტუმართმოყვარეობა არასოდეს არ წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან. მოხარული ვარ, რომ ეს საუცხოო ქალაქი და მისი ადამიანები დღესასწაულობენ თბილისის ათას ხუთასი წლის ისტორიას“.

არუნ სენი იუწყება, რომ ქალაქის მშრომელებს უგზავნის მეირე საჩუქარს და საუკეთესო სურვილებს. წერილს იგი ამთავრებს სიტყვებით: „გაუმარჯოს თბილისს, დაე აყვავდეს თბილისი და მისი ხალხი საბჭოთა კავშირის დიად მიწაზე“. (საქდესი).

კინოფიდმების ფესტივალი

კიევი, 8 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.). კიევის კინოთეატრში „უკრაინელი კომკავშირელი“ ფილმით „ასე იწყება მაიაკოვსკი“ გაიხსნა საკავშირო ალკ 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართული ფილმების კინოფესტივალი. ფესტივალი, რომელსაც დაესწრნენ ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უკრაინის კინემატოგრაფიის წარმომადგენლები, გახსნა უკრაინის სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ი. გაბანენკომ. დელეგაციას, რომელშიც შედიან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკები კინოდრამატურგი კ. გოგოძე, კინორეჟისორი შ. მანაგაძე, მსახიობები ლ. ელიავა, თ. კოკოვა, კინოოპერატორები ფ. ვისოცკი, დ. მარგიევი და გადამღები ჯგუფის დირექტორი ლ. ბარამიძე, მიესალმა უკრაინის სსრ კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე კინორეჟისორი ტ. ლევჩუკი და უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაკი ნ. პასინსკაია. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა კ. გოგოძემ.

* * *

8 ოქტომბერს თბილისის კინოთეატრ „ამირანის“ შენობაში გაიხსნა უზბეკეთის კინოფილმების ფესტივალი, რომელიც 15 ოქტომბრამდე გასტანს. ფესტივალის გახსნასთან დაკავშირებით კინოთეატრის შენობაში გაიმართა საღამო.

საღამოზე უზბეკეთიდან ჩამოსულ სტუმრებს მიესალმა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ქ. ოტიაშვილი. საპასუხო სიტყვა წარმოთქვეს კინორეჟისორმა ლ. ფაიზიევმა და კინომსახიობმა რ. მუხამედოვამ.

თბილისი თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ნ. ბარათაშვილი, **მარჯანიშვილის სახელობის** — მოკვეთილი, **გრიბოედოვის სახელობის** — ღვთის მოშიში მართა, **სომხური დრამის** — ლანის ნაამბობი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ნაბიჭვარი (მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი), **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—სინდისის ქისა (ა.ბ. № 21, 10 ს.), შავი ბიჭი (ა.ბ; № 1., 7 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — რიგის საესტრადო ორკესტრი, **რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი** — ლატვიის სსრ სახალხო არტისტის ედერმონ გეინე-ვაგნერის - კონცერტი, **ცირკი** — ქართული ცირკის მსახიობების გამოსვლა, **სანკულტურის** — ერთი დღე ავარაკზე.

კინოთეატრებში

ამირანი (საზამთრო) — უზბეკეთის კინოფილმების ფესტივალი, **ამირანი** (საზაფხულო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — ვის უღიმის ცხოვრება, **ოქტომბერი, ისანი** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი) — ჩემი შეცდომა, **ფილარმონიის ბაღი** — მერძევე ჰილია, **სპარტაკი**—მეგობრობის დღესასწაული მოსკოვში, **თბილისი** — მზიერ მხარეში, **კომკავშირელი, ყაზბეგი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — სიყვარულის დაფდაფები, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო) — ჩემი ძვირფასი ადამიანი.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი
ბრძოლის ქ. № 2
(ტელ. №№ 3-26-17, 3-21-62)
12 ოქტომბერს
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობის გათამაშების „ბ“ კლასის გუნდებს შორის
„ᲧᲣᲑᲐᲜᲘ“ (კრასნოდარი)
ᲡᲙᲐᲛ (თბილისი)
დასაწყისი 3 საათზე.

თბილისის ვაქცინების და შრატების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი თანამშრომლები იუწყებიან
ფატი სპირიდონის ასულ ტუსკია-ბახტაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-X, ს. გამოსვენება 11-X, 5 ს. ატენის № 20.

თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივი იუწყება
რუბენ ბაღჩოს-ძე კარტაშიანის
გარდაცვალებას.

ქიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველობა, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები იუწყებიან
ეკატერინე ნარიმანის ასულ ხარაიძე-კირკიტაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-X, 4 ს. ქიათურაში, გამოსვენება მუხაძის ქ. № 10.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72 80, სამდივნოსი — 3-06-88. განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, პრეწველობისა და მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, ინფორმაციის — 3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, ხალხთა წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ხალხუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65,

საქართველოს კპ ც. კ.-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

2

უე 06627